ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი № 12

ქ.ახალციხე

27 თებერვალი 2012 წ
12:00 სთ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

მალხაზი გიქოშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

გელა დემეტრაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

გიორგი გიქოშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

მაკა სამსონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ემზარ მღებრიშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარები სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქიტექტურის საკითხებში

მანანა ბალიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი –სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;

გაგა ივანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

დავით ჩაჩანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

თენგიზ ზედგინიძე- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;

გიორგი მიქელაძე – საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;

**დღის წესრიგი:**

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ: ქ. ახალციხეში, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილთან მდებარე ხელოვნური ტბის რეაბილიტაციის კონცეფციის ფარგლებში ამფითეატრისა და სცენის მოპირკეთების, ბილიკის, ბილიკზე ასასვლელი კიბეების, ბაღის სკამებისა და გარე განათების მოწყობის დამამთავრებელი ეტაპის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2012 წლის 15 თებერვალს 17:56 საათზე გამოცხადებულ №315 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მ. გიქოშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაკა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. დემეტრაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ „ქ. ახალციხეში, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილთან მდებარე ხელოვნური ტბის რეაბილიტაციის კონცეფციის ფარგლებში ამფითეატრისა და სცენის მოპირკეთების, ბილიკის, ბილიკზე ასასვლელი კიბეების, ბაღის სკამებისა და გარე განათების მოწყობის დამამთავრებელი ეტაპის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის" კონკურსის

საშუალებით შესყიდვის 2012 წლის 15 თებერვალს 17:56 საათზე გამოცხადებულ №315 კონკურსში ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა- შპს „ა არქიტექტურა"-მ შემდეგ თანხაზე: 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

**განხილვა:**
შპს „ა არქიტექტურის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

**კომისიამ დ ა ა დ გ ი ნ ა:**

**1.** შპს „ა არქიტექტურის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**2.** ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ „ქ. ახალციხეში, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილთან მდებარე ხელოვნური ტბის რეაბილიტაციის კონცეფციის ფარგლებში ამფითეატრისა და სცენის მოპირკეთების, ბილიკის, ბილიკზე ასასვლელი კიბეების, ბაღის სკამებისა და გარე განათების მოწყობის დამამთავრებელი ეტაპის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის" კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, 2012 წლის 15 თებერვალს 17:56 საათზე გამოცხადებულ №315 კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „ა არქიტექტურა".

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს მ. ბალიაშვილს, შპს „ა არქიტექტურის" წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება, გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4. საკონკურსო კომისიის წევრს მანანა ბალიაშვილს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე — მ. გოქოშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — [illegible] დემეტრაძე

საკონკურსო კომისიის მდივანი — მ. სამსონიძე

საკონკურსო კომისიის წევრები — ბ. გოქოშვილი

გ. ივანიძე

თ. ზედგინიძე

გ. მიქელაძე

მ. ბალიაშვილი

ე. მღებრიშვილი

დ. ჩაჩანიძე